№2142 2015 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ „ევროპის მიკროსაფინანსო ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ (European Microfinance Fund for Southeast Europe) სესხის გაცემის შესახებ**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ „ევროპის მიკროსაფინანსო ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ (European Microfinance Fund for Southeast Europe) ჯამურად არა უმეტეს 50 მლნ ევროს ოდენობის სესხის გაცემის თაობაზე.

2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სადამფუძნებლო შეთანხმების მე-3 მუხლის, მესამე სექციის, (ii) პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წერილობით აცნობოს თანხმობა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) გამოგზავნილი წერილის შინაარსზე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**